

საქართველო

ეროვნული თავისუფლების ბრძოლა - ქართველი თავისუფლებისმოყვარე
 ქართველი თავისუფლების ბრძოლა - ქართველი თავისუფლებისმოყვარე

ეროვნული
 ბრძოლისთვის

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
 გამომდის ორშაბათობით და ხუთშაბათობით

№56 (1494)

4-7 ნოემბერი, 1996 წელი

საქართველოს
 პრეზიდენტის
 ბრძოლისთვის

პოლიციელები თანგვი სიგუას

ოფისში

მე-3 გვ.



დღევანდელ ნომერში:

მოგაწვინო ნომერშია:

დასრულდა

ზ. გამსახურდიას

მწერალთა

კავშირიდან

გარისხვის

სტანოგრადული

ჩანაწერის გეგმა

მეორე გვერდი

პირველი ადვოკატი:

- რა უნდა გელაპარაკო, მილიციონერი იყავი...

მეორე ადვოკატი:

- შენ კი მათხოვარი იყავი და მათხოვრად ღარჩი...

მესამე გვერდი

დავსტამბავთ წერილს, რომელიც საუკუნის ერთ კურთხეს შეგვახსენებს.

მთაწმინდაზე განისვენებს გრიბოედოვი. ეს იგივეა, რუსებს თავიანთი ქვეყნის უპირველეს მამულიშვილთა გვერდით ნაპოლეონის ერთგული ჯარისკაცი რომ დაეკრძალათ და თან მისით ეამაყათ...

ბრძოლა და გამორეკლება ყოფილი შიშვე-პრემიერის ა.პარბიანის საქმიანობასთან დაკავშირებით

საქართველოს პროკურატურის მძლავრი რანგის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გრძელდება გამოკვლევა ყოფილი ვიცე-პრემიერის ავთანდილ მარგიანის საქმიანობასთან დაკავშირებით. უახლოეს მომავალში. მისი თქმით, ავთანდილ მარგიანს კვლავ დაკითხავენ. არ არის გამორიცხული, რომ აგრეთვე დაკითხონ ყოფილი ვიცე-პრემიერი ზურაბ კერვალიშვილი და ყოფილი პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია. შესაძლებელია მათი ერთდროული დაკითხვაც. ასწავ-განმარტებათა თემა ძირითადად შეეხება თურქენეფში ნაყოფი ბუნებრივი აირის საკითხს.

პროკურატურის წარმომადგენელმა აგრეთვე განაცხადა ისიც, რომ მთავრდება გამოკვლევა ყოფილი პრემიერ-მინისტრის თენგიზ სიგუას საქმეზე, მაგრამ აღნიშნული გამოკვლევა ეხება სხვა თემას. კერძოდ, 1992 წლის თებერვალში თენგიზ სიგუას მიერ გაცემულ უკანონო განკარგულებას, რომლის შედეგობითაც ერთ-ერთმა ფირმამ ფართომასშტაბიანი ფინანსური მატარებელი ჩაატარა და სახელმწიფო ხაზინას მილიონი აშშ დოლარი დააკლო.

იბერი

ვინ იყო ვინ?

მასალაში საქართველოს ისტორიის მოგაგალი მეთაიანისათვის

დოკუმენტური ისტორია ზ. გამსახურდიას მწერალთა კავშირიდან გარისხვის

დასასრული, დასაწყისი იხ. „საქართველო“ №51,52,53,54,55.

ქვეყნდება პირველად

სტანოგრაფიული ანბარში საქართველოს მწერალთა კავშირის კრედიტის სხლომისა 1977 წლის 1 აპრილი

თავმჯდომარეობს - გრიგოლ აბაშიძე

ანა კალანდაძე - ბატონი მურმანისა არ იყო, რა უნდა ვილაპარაკო, პირველი განცხადება ის არის, რომ ბატონი კონსტანტინეს აჩრდილის წინაშე ვართ ყველანი უმძიმეს მდგომარეობაში და განსაკუთრებით მე. ზვიადი ნათლიმამა ჩემი, ნათელმირონი მაკავშირებს.

და რაც აქ ითქვა, იმან მე ცოტა იმედი მომცა. პირველი სამსჯავრო - ეს არის მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი. ნუთუ არავინ დაიბარა, მართლაც ჩვენ ვართ პირველები? შეიძლება მოხდეს სასწაული და ზვიადმა თავი გაიმართლოს და ამოვიხსნათ. შეიძლება მოხდეს ასეთი სასწაული და მე ამ სასწაულისა მჯერა.

თავმჯდომარე - ბატონო დემნა!

დ.შენგელია - ამხანაგებო, ძნელია იმ ყმაწვილის მდგომარეობა და მისი გათვალისწინება ჩემთვის, რომლის ხელშიც ის გაიხარდა. სულ პატარა იყო, როდესაც კონსტანტინე მას თავს ევლებოდა და დღეს სულ სხვანაირად წარმოსდგა. საკმარისია ჩემთვის ის, რაც პრესაშია, არ შეიძლება ასე, პირადი მორალის საკითხი საეჭვოა ძალიან. ანონიმური წერილებს რომ კაცი წერს სამღვდელეობაზე, 170 წერილი გაუგზავნია ანონიმური და ზვიადმა ამაზე ნაკლები წერილები კი არ გაგზავნა. გავუფრთხილდეთ ქართულ ენას, ეს ისეთ ეჭვებს აღძრავს, აქ არავითარი სასამართლო დადასტურება არ გვჭირდება, ყველაფერი ნათელია. ეს ყველაფერი ახდენს ძალიან ცუდ შთაბეჭდილებას, როგორც მოქალაქის და აქ ინტელექტის მდგომარეობა კიდევ საფიქრებელი. ჰკავთამყოფელი კაცი ამას არ იზამს და მით უმეტეს შენ, სამშობლოს შეილი ხარ და ამღვრევე წყალს.

მე ვწუხვარ, ჩვენი ოჯახის წევრი აქამდე რომ მოვიდა. და თუ ზვიადი მოახერხებს იმას, რომ გაიმართლებს თავს, არ ვიცი, ეს არის ცილისწამება. თუ ის გაიმართლებს თავს, ეს იქნება ბედნიერება, ეს იქნება მისი გადარჩენა და კონსტანტინეს გადარჩენა და გადარჩენის ვანტაჟისა, ეს საკითხი ძალიან რთულია. რთულია ჩემთვის პირადად ბიოგრაფიულად მისი წარმოდგენა, ეს „სამიზნატი“, ეს ყველაფერი, არაფერი სისაძაგლე რომ არ აკლია ამ საქმეს. ეს სამწუხარო მდგომარეობაა. არ აკლია

არც ანტიპატრიოტიზმი, არც ამხანაგების დასმენა და გაწირვა. აბა რა არის ანონიმური წერილები. მე ძალიან მენიშნა ერთი სიტყვა, რომელსაც ამბობს სამღვდელეობა „პარანოიკები“.

მე ვფიქრობ, ეს საქმე გარკვეული იქნება და, თუ თქვენ გაიმართლებთ თავს, ამაზე ბედნიერება რა იქნება, მაგრამ არა მგონია, აქედან გამოსავალი იყოს რამე.

თავმჯდომარე - ამხანაგებო, ყველამ გამოთქვა აზრი და ყველამ აღნიშნა ეს მძიმე ამბავი და, თუ ვინმე არის მძიმე მდგომარეობაში, ჩემთვის ეს არის ყველაზე მძიმე, რადგან ჩემ დროს ხდება.

რა თქმა უნდა, თქვენ კარგად იცით, რომ ჩვენს ქვეყანას იმდენი მტერი ჰყავს, რომ მტრის გამოგონება კიდევ არავის არ სჭირდება და ვიდრე ამ საკითხს აქ მოვიტანდით, გვითხრეს, რომ ეს ფიქსირებულია. მაგრამ რაკი ზვიადმა ეს განაცხადა, ბევრი სიკეთე გვაკავშირებს მასთან, თუკი ის იმ აზრისაა, რომ არ იზიარებს, რაც აქ არის და გაიმართლებს თავს ან დასწერს ეხლავე, რომ გმობს ყველაფერს...

ზ.გამსახურდია - ყველაფერს არ ვგმობ. რაც მე დამიწერია, იმას არ ვგმობ. არავითარი ანტიპატრიოტა მე არ დამიწერია, მთავრობის წინააღმდეგ მე არაფერი დამიწერია. რაც შეეხება პროკლამაციას, ის მე არ მეხება და არ ვიცი.

თავმჯდომარე - თუ თქვენ ცნობთ, რომ ეს არის ანტიპატრიოტა მოღვაწეობა, გმობთ და არ იზიარებთ; არ იზიარებთ იმ რადიკალური და წინააღმდეგი ხართ ამ მოქმედების...

ზ.გამსახურდია - ყველაფერს როგორ ვგმობ, ჩემი თავის წინააღმდეგი ხომ არ ვიქნები? მე რაც დამიწერია, იმის

წინააღმდეგი როგორ ვიქნები? დამიწერია დავით გარეჯის ძეგლის მდგომარეობის შესახებ და სხვა ძეგლების შესახებაც და ამას ყველაფერს მე არ ვგმობ. ვგმობ იმ პროკლამაციას, რაც არის ანტიპატრიოტა. ანტიპატრიოტა მე არაფერი დამიწერია.

გ.გორგოლიანი - თქვენ განაცხადებთ - არ იცით ამ შურნალის გამოცემა, სად იცემა და ვინ განაგებს და არც მოგწონთ. მაშ როგორ ბეჭდავთ?

შ.ნ.შანიანი - დაწეროს ახსნა-განმარტებითი ბარათი, აი

ის, რაც აქ მოგვახსენა, ეს კარგი იქნება.

თავმჯდომარე - ზვიად, როცა თქვენ იყავით სირაქსთან, განა არ იყო ამაზე ლაპარაკი?

ზ.გამსახურდია - სირაქსთან მე ვიყავი მემკვიდრეობის საკითხთან დაკავშირებით და ეს ვუთხარი.

გ.გორგოლიანი - „ოქროს საწმისი“ იხსნება თქვენი წერილით და ლექსით.

ზ.გამსახურდია - ლექსი არის ჩემი და წერილი არ არის.

გ.გორგოლიანი - ხელმოწერა არის ბატონი ზვიადის.

ს.ტილაია - ბევრ რამეზე ამბობს უარს და ეგებ დაწეროს.

თავმჯდომარე - მე ნუ ჩამაყენებთ ბრალმძებლისა და მოსამართლის როლში. ჩვენ მოგუსმინეთ აქ გამოთქმულ აზრებს. თუ მართლა ზვიადი დაამტკიცებს, რომ არავითარი ურთიერთობა არა აქვს, ჩვენ გვეტყვიან და აღვადგენთ ისე, რომ წასული არ იქნება მისი

გარიცხვა, ეს იქნება ჩვენთვის დიდად სასაბუღო და ჩვენი ყველას რეზილიტაცია. განა მართლაც ზვიადი, არამედ მთელი ორგანიზაცია უხერხულ მდგომარეობაში. ვის გაუხარდება ეს ხელოვნური დაფარვეთ ამ დაღვე-

ნილებას, როგორ დაიმტკიცებო, როგორ გვეტყვიან!

ჩვენ ვთქვით რომ ჩვენი კავშირის წევრებისათვის ეს შეუთავსებელია და შენ თვითონ უნდა დაასაბუთო შენი სიმართლე. შენ ვერაფერი სთქვი.

კენჭისყრა მაინც უნდა მოხდეს, ფორმალურად ხომ უნდა ვუყაროთ კენჭი იმას, რაც აქ ითქვა.

რ.ჯაფარიძე - არ უნდა კენჭისყრა.

თავმჯდომარე - ვინ არის მომხრე იმ აზრისა, რომელიც თქვენ სთქვით? არ არის კენჭისყრა საჭირო? ვინ არის მომხრე იმ წინადადებისა, რომელსაც ყველა აწერს ხელს?

ი.აბაშიძე - რომ გარიცხვოს!

თავმჯდომარე - ვინ არის მომხრე გარიცხვის, გთხოვთ ასწიოს ხელი, გთხოვთ დაუშვათ, ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. თავი ვინ შეიკავა? არავინ. მაშასადამე, წინააღმდეგა მიღებულია ერთხმად.

მე კიდევ ვიმეორებ, თუ ზვიადი დღესვე დაამტკიცებს იმას, რაც მან განაცხადა - არა აქვს კავშირი ამ საქმიანობასთან, ჩვენ პირველები ვიშუამდგომლებთ, რომ გააუქმონ დადგენილება.

ალ.გომიაშვილი - მოდიოთ ორშაბათამდე მივცეთ ვადა, ორშაბათს თუ წარმოადგენს, ხელახლა შევიკრიბოთ და გადავხედოთ.

თავმჯდომარე - ჩვენ კენჭი ვუყარეთ და გვათავაზეთ და მე ვამბობ - თუკი ზვიადი გამართლებს, რომ მას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს და არ იზიარებს იმ პროკლამაციის დაბეჭდვას და ანტიპატრიოტა პროპაგანდას, ჩვენ ყველანი დავუჭერთ მხარს მის კავშირში დაბეჭდვას.

ამით ჩვენი ეს დღევანდელი სხდომა დამთავრებულია.

გოლოთქა, ანუ ყველას გვასსოვდეს მსჯავრი ისტორიისა

დიახ, ყველას, - ქვეყნის მმართველსაც, მისი სურვილის აღმსრულებლებსაც, მბრალმძებლებსაც და ბრალდებულებსაც, - ყველას უნდა გვასსოვდეს მარადიული ჭეშმარიტება: მომავალი თაობები ჩვენზე იმსჯელებენ იმის მიხედვით, თუ რა სარგებელი ან ზიანი მივაყენეთ ჩვენს ქვეყანას, რა შევცოდეთ დემოკრატიაში. ჩვენს უპირველესად იმ წერილობით დოკუმენტებით, რომლებიც დაცული იქნება სიძველეთ-საცავებში. ერთი უტყუარი ცოდნა მომავალ მემკვიდრეებსა და მათთვის სავალდებულოა: ამა თუ იმ მოვლენის, ამა თუ იმ პიროვნების შეფასებისას ანგარიში უნდა გაეწიოს ქვეყნის სახელმწიფოებრივ წყობას, მისი მმართველობის სისტემას, იმდროინდელ სამართლებრივ ნორმებს, განსაკუთრებით კი პიროვნებებს - ვინ იყო ვინ?

ამ თვალსაზრისით, როგორც პუბლიკაციის დასაწყისში აღვნიშნეთ, ძნელი გასარკვევი არ იქნება, სანამ ზვიად გამსახურდიას დაავატიებდნენ, რატომ ატყდა საზოგადოებრივი აზრის შექმნისათვის, პრესის ფუნქციონირების „ხულოგნური“ ქვეყნის შესახებ (ყველაფერი

შეიძლება დაგეგმავთ მისთვის, მაგრამ ხულოგნობის ჩადენა, - ეს ყოველად უმსგავსო მკრეხელობად უნდა ჩითვალოს), მისი „ანტისახელმწიფოებრივი“ მოქმედების შესახებ და ა.შ. განა ყოველივე ეს არ გამოსჭვავის, თუნდაც მწვერალთა კავშირის პრეზიდიუმის „ზოგიერთ წევრთა გამოსული გაორებულ სიტყვებში? - რომ ის არ იზიარებს ქართული საბჭოთა მწვერლობის პოზიციებს და... უფრთხილან ამხანაგების აზრს (ეს ფაქტურად პარტიის ცეკას მითითებაა) და მოითხოვენ მისი მწვერალთა კავშირის რიგებიდან გარიცხვას.

არათუ მწვერალთა კავშირი, არამედ მასწინდელი საპარტიო ასრულებდა ზვიად გამსახურდიას დასასჯელად მითითებებს. ამას ადასტურებს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის დავით V-ის, მიტროპოლიტ გაიოსის, ეპისკოპოს გიორგი მანგლელის და ეპისკოპოს გრიგოლ ალავერდელის 1977 წლის 17 მარტის წერილი, სადაც ზვიადი დახასიათებულია: „მამულიშვილობისა და კეთილმორწმუნეობის ნიღაბს ამოფარებული“; „ფსევდოინტელიგენტი ვაუბატონი

„სიყრმით თვისითგანვე“, გამოუსწორებელი ხულოგანი, გვარიანად გაწვრთნილი შანტაჟისტი და დახულოფებული პროპაგანდისტი“; „უსაქმურობაში გაზრდილი, მამის ავტორიტეტს შეზინული“; „ხულოგნობის დახმარებით ეკლესიაში განხეთქილების ჩამომგდები“; „უცხოურ რადიოსა და პრესისათვის ყალბი ინფორმაციის მიმწოდებელი“ და სხვ.

მათი დასკვნა ასეთია: „ამ სულიან-ხორციანად გადაგვარებულ ჩირქიან კაცის საქციელზე დუმილი და ყურმორუება აღარ შეიძლება“, იგი მკაცრად უნდა დაისჯოს!

კარგი იქნებოდა ქართული ეკლესიის ამ მესვეურებს (შეუნდოთ მათ დემოკრატია შეცოდებანი), თუ შევასხვებდით მაცხოვრის სიტყვებს: „მე კი გუპუნებით გოვარდეთ თქვენი მტრები, დალოცეთ თქვენი მარწვერები, სიკეთე უყავით თქვენს მოძულეებს და ილოცეთ მათთვის, ვინც თქვენ გაეწირობთ და გდევნით“ (სახარება მათესი, 6.44).

ვახტანგ ბურბანიძე
ოქტომბერი, 1996 წ.

ეკონომის სარკე

ქართული მხარეები და 1991 წლის 2 საქართველოს აქტის

ქვეყნდება პირველად

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო“ №50,51,52,53,54,55

იხსნა ვიღვეა სიტყვა.

იხსნა ორჯონიძეძე. - მე ძირითადად გითხარით, რაც მინდოდა მეთქვა. უცნაურია ჩვენი ბედი, ტრაგიკულია ჩვენი ზედი. შემაზრუნენია რუსთაველის პროსპექტზე გაგლა, ვისაც უახლეს ხანებში უნდა ახაეს რუსთაველის პროსპექტი. ჩვენ აქ იმისათვის არ შეგვრებილვართ, რომ არჩევანი გავაკეთოთ - გადავირჩიოთ თუ არა ზვიად გამსახურდია. ბატონო თემურ, თქვენ ბრძანეთ, რომ დაიწყო დიალოგი. მე ნათქვამის და წაკითხულის გაგება სწორად შემიძლია. ე.წ. ოპოზიციისა და ხელისუფლების შერიგება შეიძლებოდა, რომ აღამიანი, რომელიც ცდილობს მართოს სახელმწიფო, შექმნას ეკონომიური არსებობის პირობები, ის ცდილობს დაამყაროს მოწინააღმდეგე ძალებთან ურთიერთობა, მაგრამ როცა სახელმწიფოს მეთაური დგება რომელიმე მხარეზე, ეს არის შეცდომა. მისი ყველაზე დიდი ნაკლია, ხანდახან შენი მოწინააღმდეგის აზრს უნდა მოუსმინო, ვიდრე იმ ადვირასწილ მლიქვნელებს, რომლებიც მის გარშემო არიან, ორი კაცის გამოკლებით. ნოდარ ფულიყისა და მე ყველა შეცდომას ვაპატიებ იმიტომ, რომ ის გულწრფელია.

ჩვენ ყველა ერთმანეთს კარგად ვიცნობთ. გარდა ამისა, არსებობს არქივები, ჩანაწერები. საქართველოში ქართული ენის ყოფნა-არყოფნის საკითხზე მხოლოდ 8 მწერალმა თქვა თავისი აზრი. მიბრძანდით ვახტანგ გურგენიძესთან და ნახეთ, ნუ მოგერიდებთ.

ვინც აქ არ არის, თავს არიდებს და სწორია იმიტომ, რომ პასუხისმგებლობის ეშინია. მე ხუთჯერ გამანთავისუფლა კომუნისტურმა პარტიამ, სუკი-ბრუკი არ დამკლბობია და არც ერთ მწერალს თავი არ შეუწუხებია, რომ მე გამაგრიო მქონოდა. ეხლაც ისევე ბატონებო. როგორ შეიძლება გოგა ხანდრავა ხალხის მტერი იყოს, რომლის მამაც 27 წელი ლაგერებში იტანა? არ შეიძლება ასე.

ამ ეტაპზე მე პრეზიდენტის გადადგომის მომხრე არა ვარ. ქუჩური წესებით ვერ გადავაყენებთ. ეს უნდა იყოს იურიდიულად. მაგრამ პარლამენტს ტყუილად ჰგონია, რომ არ უნდა დაიშალოს.

მე დღეს ჩემ უკანასკნელ სიტყვას ვამბობ მწერალთა კავშირში. მე არ შევალ ახალ მწერალთა კავშირში იმიტომ, რომ მომხმარებელი ტყუილები. ჩვენ ზვიადი შეგვპირდა სიტყვის თავისუფლებას, პრესის თავისუფლებას. ცხრაჯერ დამიძახეს - იხსნა ორჯონიძეძე გამოდი პარტიიდან. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ნოდარ ფულიყის, როცა მე ასე არ მწყალობდნენ, ის გვერდში მედგა. მე მადლობა მინდა ვუთხრა ყველას, ვისაც შეუძლია რაიმე გაუყეთოს საქართველოს.

ჩვენ გვინდა პრესა, სიტყვის თავისუფლება. მე არც ურდუმუტში წავალ, არც საზღვარგარეთ. ყველამ კარგად იცის, რომ კრემლი აღარ არსებობს.

მერამ კოსტავა ცოცხალი რომ ყოფილიყო, გუშინ უნივერსიტეტში იქნებოდა.

მე ვთხოვ პრეზიდენტს - შევხედეთ, მოვიწვიოთ. მე პატივს უნდა ვცემდე იმ კალმისათვის, მაგრამ არა იმ ქალებისათვის, ბრწყინებს რომ ასევე ნოდარ ნათქვამის. რას დავამგვანეთ ჩვენ ის ქალები? შენ თუ კარგი პოლიტიკოსი ხარ, ისე მართე ქვეყანა, რომ რაღაც-რაღაცეები არ გეშე-

სტენოგრაფიული ანგარიში საქართველოს მწერალთა კავშირის საერთო კრებისა 1991 წლის 12 სექტემბერი თავმჯდომარეობს - მუხრან მაჭავარიანი

ბოდეს. შენ რომ ელცინს შეხვდი - რა გააკეთე? უზუნაეს საბჭოზე უპატიოსნესი კაცი თედო პაატაშვილი რომ წამოდგა და თქვა, მერე - საკალაძე-რეგულია არ ისმის.

მე მინდა გავიგო, რაშია საქმე ბატონო ამირან, თქვენ ისეთი საღმთი მესალმებით... მე მგონია, ჩემს მაგივრად თქვენ მონაწილეობდით ამ ამბებში.

ერთხელ მაინც უთხრას საქართველოს მწერალთა კავშირმა, უთხრას ქართველ ხალხს, რომ ორ სექტემბერს ქანტუიას მიტინგის ასეთი ფორმით დარბევა დანაშაულია ხელისუფლებისა. იმ დღეს უნდა გადადგარიყო ხაბულაიანი და ზვიადს მოეხსენებინა ეს ხალხისათვის. მაგრამ ტელევიზიის ანბა არ ირთებოდა უზვიადოდ და ეს როგორ მოხერხდებოდა. დაჩინო თქვენ (მიმართავს აკალაძეს) თქვენ სინდისთან მართო... საქართველოში მითქმა-მოთქმა უნდა მოისპოს. (ხმაური...)

ნელი ბაბრიჩიძე - მე მწერალი აღარა ვარ. მწერალი არ ვარ იმიტომ, რომ 1978 წლიდან, როდესაც პირველად ავედი ამ ტრიბუნაზე, როდესაც მერამ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას ვიცავდი, ქართულ ენას ვიცავდი, ჩემი აღარაფერი დამეჭდილა და ამიტომ არ მიცნობს დღევანდელი თაობა. ამიტომ დამჭირდა ჩემი თავის წარდგენა.

ბევრს აქვს ანგარიშები, ძველი ან ახალი. მე ბატონ ზვიად გამსახურდიასთან მხოლოდ კარგი ანგარიში მაქვს. ჰაბუა იმიტომ გამოვიდა, რომ ანგარიში აქვს, ბატონი ლევან ხანდრავა გამოვიდა იმიტომ, რომ მის შვილზე რაღაც თქვა. მე ასეთი ანგარიში არა მაქვს. ამიტომ მე მინდა ასეთი კითხვა დავსვა - რატომ უნდა ემორჩილებოდეს ჯარი მხოლოდ პრეზიდენტს. ხომ შეიძლება პრეზიდენტი აღელდეს? (ხმა - პრეზიდენტი ემორჩილება ჯარს). ამისათვის კანონის გამოშვება არ არის საჭირო. როგორ შეიძლება ჯარი ემორჩილებოდეს ერთ კაცს და არა მინისტრთა საბჭოს. ხომ შეიძლება ის ერთი კაცი ისეთ ქუაზე დადგეს, რომ...

მეორე შეკითხვა. რა საჭიროა მთავრობის სახლის წინ რაღაც პათეტიკური კარავი? რისი სიმბოლოა? ვის სჭირდება ეს მთავრობის სასახლის წინ?

მე მიხაროდა, გტვირთი 9 აპრილს, მაგრამ გული მტკიოდა და ეხლა ვეღარ გავიგებ, უნდა ვიტყვი 9 აპრილი თუ არა. 9 აპრილი ჩემთვის ტრაგედია არის და 9 აპრილი თურმე ბედნიერება არის.

რამდენად სწორია რეზოლუციის გამოყენება წერილზე, რომელიც არ დაბეჭდილა, ვინმე დენიზა ზუმბაძის დაუბეჭდავი ნაშრომის შესახებ 20 წლის წინ დაწერილი წერილის გამოქვეყნება. ვინ არის დენიზა ზუმბაძე ისეთი? შეიძლება ძალიან კარგია, მე ვერ შეურაცხყოფ, მაგრამ როცა

ცოცხალი არადაშეღიას უთხრეს, შენ მწერალი არა ხარო, აი ამიტომ ვამბობ მე ამას. გადავხედოთ ჩვენ ჩვენს მეზობლებს, დავინახოთ იქ რა ხდება, მეორე დღეს რომ პასკვილები გამოვავაჭვენეთ.

უნდა მოაწეროს თუ არა საქართველომ რაიმე ხელშეკრულებას ხელი, რაიმე სახის ხელშეკრულებას იმიტომ, რომ ჩვენი ბრძოლა კრემლმა თუ რაღაცა ძალამ ისეთ-ნაირად წარმართა, რომ დღეს ყველა რესპუბლიკას აჩუქა ის თავისუფლება, რომლისთვისაც ჩვენი ხალხის ძვლები ჩიყარა მიწაში, იმ ხალხს დაუჩივებს თავისუფლება და ჩვენი ბრძოლა რომ ნულამდე დაეყვანათ, ყველას აჩუქეს თავისუფლება. და თუ ჩვენ შეიძლება რაიმე ხელშეკრულებას მოვაწეროთ ხელს, ეს იქნება დიდი შეცდომა.

აკაკორჯაძე - ისეთ დროს მომიწია გამოცლა, რომ თითქმის ყველა პოზიცია იქნა გარკვეული. ბატონმა ჯემალმა თქვა - ვერაინ ვერ გვასწავლის, ვის რა აზრი გვაქვს - ვერაინ ვერ შეგვაცვლავინებს. მაგრამ ერთი რამე მინდა გითხრა, რაც აუცილებელია. დარბაზში თითოეულ ადამიანს თავისი აზრი აქვს, ასევე ოჯახში. მე 4 შვილი მყავს და არ არის გამორიცხული ერთი შვილი ერთ მხარე, ყველანოდეს, მეორე - მეორეს. არავინ არ მიაქცია ყურადღება იმას, რომ შესაძლებელია ბარიკადები რუსთაველის პროსპექტზე იყოს, მაგრამ არსებობს კიდევ ერთი ადგილი, სადაც შეიარაღებული ხალხი, ჩვენი შვილები არიან, იქ არის 2-3 ათასი კაცი, კბილებამდე შეიარაღებული, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო იქიდან ვერ მოდიან და ისინი კანონგარეშე არიან გამოცხადებული. ისინი არ დაიშლენ და შევანაზღვე არიან. აი ეს შევანაზღვე მყოფი ხალხი უნდა დავაშოშინოთ. იქ არის ფეთქებადი მდგომარეობა.

ბურამ გვარდუთიანი - ყველამ იცით, რომ ფეთქებადი მდგომარეობა და კატასტროფის წინაშე ვდგევართ. სამწუხაროდ, ძალიან შეზღუდული პროგნოზია და იმიტომ არ ვამბობ ამას, რომ ავლელდეთ, იმიტომ რომ არც ერთი მხარე გონზე არ არის.

მე მაქვს კონკრეტული წინადადება. რა თქმა უნდა, ყველა ნებისმიერ სახელმწიფოში, როდესაც 2 სექტემბრის ამბავი ხდება, მინისტრი უნდა გადადგეს, როგორც წესი - მინისტრი იმავე დღეს უნდა გადადგარიყო.

უამრავი მაქვს სათქმელი, მაგრამ რეგლამენტი არ მაძლევს საშუალებას. ჩემი აზრით, არავითარი დეკლარაცია ჩვენ არ უნდა მივდლოთ. ეს გამოიწვევს კონფრონტაციას. ჩემი წინადადებაა, რომ დღეს რაც აქ ითქვა, მწერალთა კავშირმა შექმნას 5-10 კაციანი ჯგუფი, მი-

ვიდეს, უთხრას ტრიბუნაზე, ჩვენი მხარე ალბობაა პირნათლად ვუთხროთ, რაც მოგვწონს და არ მოგვწონს ის შეცდომად მიგვაჩნია. კომპრომისზე უნდა წავიდეს ასევე მეორე მხარეც.

ნოდარ ბრიბალაშვილი - იმდენი რამ ითქვა აქ, რომ აღარ შეგაწყნოთ თავს გრძელი შესავლით. ხედავთ, რომ საქართველო გააბობილა, დაჭვავებული და დანაწევრებული. პარტიების რაოდენობა დღითიდღე იზრდება. ასე იყო საუბედლოდ ჩვენს ისტორიაშიც. სხვებზე დოკუმენტის გარდა უნდა მივიღოთ მეორე დოკუმენტი, რომელიც იქნება მიმართვა ქართველი ხალხისადმი (საკალაძე - მიღებულია).

(მამაგვარიანი - რა არის მიღებული?!)

(საკალაძე - კავშირში დაწერილია...)

ნოდარ ბრიბალაშვილი - ქართულმა მწერლობამ უნდა გამოხატოს თავისი მართალი აზრი დღეს არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების შესახებ. 20-იანი წლების იმ საქართველოში, როცა მთავრობა მწერალს ძალადგობდა სამსახურს სთხოვდა, ტიციან ტაბიძემ გააკეთა გენიალური მიმართვა კოლეგებისადმი, სადაც ის ამბობს: „არავის ვემონებთ, გარეშე ღვთისა დამბადებლისა“.

დღეს კი ერთი ნაწილი მწერლებისა არის ხელისუფლების მხარეზე, მეორე - ოპოზიციის.

მე მინდა, რომ ქართულმა მწერლობამ დაიჭიროს ზოგადი, ჯგუფური ინტერესებზე ამოღებული საერთო ქართული პოზიცია. თქვენ, ბატონო ამირან (მიმართავს თავს ამირან კალაძეს - სტ.), ამ პოზიციიდან არ ამოდინართ, ყველა ქვეტექსტით გამოდინართ როგორც ხელისუფლების წარმომადგენელი (საკალაძე - იმ ხელისუფლების, რომელიც ქართველმა ხალხმა აირჩია).

(ხმა დარბაზიდან - იმ ხელისუფლების, რომელსაც შემდეგ აღარ ავიჩივებთ).

მე თქვენი მდგომარეობა მესმის საყვებით, მესმის ერთგულების გრძობაც იმი-სადმი, ვინც დეპუტატად გაქცეა, ამაში ცუდი არა არის რა. მაგრამ ჩვენი მოვალეობა ერთმანეთზე მეტად გვიყარდეს საქართველო. არადა ყველაფერი ან ოპოზიციის ან ხელისუფლების სამსახურშია ჩაყენებული, ხელისუფლების და არა სახელმწიფოს სამსახურში. აი, მაგალითად, აქ არის ბატონი სოსო, რომელიც რედაქტორია. ჩემო ძმაო სოსო, „ლიტერატურული საქართველო“, მწერალთა გაზეთი, არაფერს არ წერს ან წერს მცირე განცხადებას ორი სექტემბრის მიტინგის შესახებ. რატომ უნდა წერდეს მხოლოდ „საქართველო“ ან „დრონი“? მე რომ ავტორები მყავს, „დრონი“ რომ ჰყავს...

თქვენ გყავთ დიდი ძალა, თქვენ ხართ დიდი ძალა, თქვენ ხართ მწერალთა გაზეთი და აქ დადებით სიკრუის მხარეზე. იმ მცირე განცხადებაშიც წერთ, რომ „ჩვენ გვყავს ექსტრემისტული გადახრის ხალხი, რომელიც პატივს არ სცემს მთელი ერის მიერ არჩეულ ხელმძღვანელობას. ჩვენ არ ვართ ღირსი თავისუფლებისა... ასე აღიქმება ეს მოვლენები გარედან. ისინი მიზეზებს არ ეძებენ. ჩვენ უნდა მოვძებნოთ...“

(ხმა - რა არის ამაში ცუდი?..)

ბატონო სოსო, უნდა დამეთანხმოთ იმაში, რომ ზოგადი ლათაობით ვერ მი-აუფრჩხვით იმ ფაქტს, ქართველმა რომ ესროლა ქართველს და „ლიტერატურულმა საქართველომ“ ამაზე არ ჩამოკრა განგამის ზარი და ეს იმიტომ, რომ მწერალთა გაზეთში არ გაუაჩუნდეს არც ერთი სიტყვა ისეთი, რაც არ მოეწონება ხელისუფლებას. ხელისუფლებას ვემსახურები მე - ოპოზიციური გაზეთი და არა „ლიტერატურული საქართველო“. მეც რომ ისე ვიქცეოდე, როგორც იქცევან ხელისუფლების მორჩილი რედაქტორები, საერთოდ არ უნდა დაიბეჭდოს არაფერი, გარდა დიტირაშებებისა. სად გინახავთ თქვენ დიტირაშებებით აშენებული სახელმწიფო ან დიტირაშებით განმტკიცებული-გაძლიერებული ხელისუფლება; ცხადია, თუ ის კომკავშირულ-პარტიულ ძალას არ წარმოადგენს. დიტირაშებები იმ დონეზე მივიდა, რომ

უმჯობესებული დიპლომატიურ-მოზარეობითი წერილი საქართველოს პრეზიდენტს

ასოციაცია „კათარზისის“ მზრუნველობის ქვეშ მყოფი ხანდაზმულებისაგან გატორნი ვეზარა!

სათნობის სახლში ამასწინან- დელ ჩვენთან შეხვედრაზე თქვენ შეგპირდით, რომ ჩვენი კანონიერი მოთხოვნების დაკმაყოფილებაში დაგვეხმარებოდით. ყოველი გასაჭირის დროს მეც თქვენთან ვქებო - ასე თქვით მასწინ. დადგა ეს მომენტიც, ახლა გვინდა თქვენი სიტყვის ძალაში დავრწმუნდეთ. თუმცა, ჩვენ თაობას თქვენი სიტყვისა ყოველთვის სჯეროდა. საქმე შემდეგშია: უკვე კარგა ხანია რამდენიმე ორგანიზაციას თვალთუწირავს სათნობის სახლზე და ყოველი ხერხით ცდილობენ მის დასაკუთრებას. და მათ შენობაში ჩვენს გადაყვანას ამის თაობაზე თებერვლის თვეში ასეთივე წერილით მოგმართეთ თქვენ და ქალაქის მერს. ცოტა ხნით ყველაფერი მიწმარდა. გვეგონა, ჩვენი თხოვნა ყურად იღეთ. მაგრამ, ეტყობა, ეს ასე არ არის. დღეს ისევ განახლდა ეს საკითხი კვლავ უნდათ ამ სახლში გაგვასახლონ.

საბუნების სახლს, რომელიც უმწეო ხანდაზმულთა თავშესაფრად იქცა, მუშტრის თვალი დაადგა მრავალმა ორგანიზაციამ. ზოგი მის უცებს ცოტა ჩაჩოჩებდას და თითო სართულს სთხოვს, ზოგი კი მთლიანად უპირებს გამოსახლებას.

მაგალითად, საქართველოს კომპარტიამ პრეტენზია განაცხადა თავის ყოფილ ქონებაზე, ამ სახლში ადრე რაიკომი ყოფილა და ამდენად მისი კანონიერი მფლობელებიც ჩვენ ვართო.

კომპარტია საერთოდ ყველაფერზე აცხადებს პრეტენზიას, რაც ადრე მათ ეკუთვნოდათ. ასე რომ გავყვეთ საქმეს, მთელი საქართველოს უძრავ-მოძრავ ქონებაზე მონარქისტებს შეუძლიათ უპირველესად ყადაღის დადება, რადგან უფრო ადრე ყველაფერი მონარქისა იყო...

ეს ხუმრობაგაშვებით, ახლა კი ხანდაზმულთა წერილს გაეცანით.



მლის შემკეთებელი, ბიბლიოთეკა, სამლოცველო, დასასვენებელი კეთილმოწყობილი ოთახი ახლახან 20-მდე უპატრონო, უმწეო, ფიზიკურად დაუძლეველ, რომელთაც მომვლელი არა ჰყავთ, ამ სახლში დაეთმოთ ყველაზე დიდი ოთახი, სადაც სათნობის დები დიდი გულმოდგინებით იზრუნებენ მათზე გვაგვს

მომლოცვითა გუნდი, რომელიც ჩვენი ხანდაზმულებისათვის ხშირად ატარებს კონცერტებს, მუშაობას იწყებს დრამატული წრე. აგრეთვე ხშირად ვაწყოთ ცნობილი მხატვრების გამოვენებს, პოეზიის საღამოებს და ა.შ. ასე რომ, იმდენი რამის გაკეთება გვაქვს ჩაფიქრებული აქ მყოფი ადამიანების საკეთილდღეოდ, არსებული ოთახებიც, მგონი, არ არის საკმარისი.

ბოლოს და ბოლოს, თუ დღეს ბევრს უშრომლად (სხვადასხვა ფუნის მფლანგველებს, საკულისანტებს, ქურდებს და ა.შ.) ნაშოვნი ფულით აქვს უფლება რამდენიმე სათნობის სახლი ააშენოს ან იყიდოს, ჩვენი თაობის ხანდაზმულ, შრომაში გაჭაღარავებულ, მრავალჭირვარამ-გამოვლილ ადამიანებს ნუთუ ერთი სახლის ქონის უფლებაც არა გვაქვს?

არადა, გვართმევნ ამ სახლს (ზოგს მთლიანი სახლი სურს, ზოგს კი - მესამე სართული) იმდენი, რომ მათ ძალა აქვთ, ხელმძღვანელი ორგანიზაცია, ჩვენ კი ამჟამად უმწეო, უუფლებო მოხუცებს, აბა, რისი გაკეთება შეგვიძლია, ვიცით, ვერას

გაგზავნით მათთან

ჩვენ ისევ დიდი იმედი გვაქვს თქვენი გონიერებით, საქმიანობით და წყვეტილების მოგვკეთ უფლებით, ჩვენი ცხოვრების დარწმუნებით დღეები ჩვენივე ხელით გარემონტებულ, გადამაზებულ, წესრიგში მოყვანილ სახლში გაგვართო, რადგან აქ ყოფნა ჩვენივე დიდი ბედნიერებაა, დიდი სიხარულია.

ბატონო ვეზარა!

ნუ მოგვისპობთ ამ სიხარულს, ჩვენ, ხანდაზმულებს, ისედაც ცოტა დრო დაგვრჩენია, ვისარგებლოთ ამ სახლის სიკეთით. დაგვიტოვებთ სათნობის სახლი ჩვენს კუთვნილებაში, გვახუჭეთ, როგორც უქონელ, უმწეო მოხუცებს (კარგად იცით, რომ ჩვენ მისი შესყიდვა არ შეგვიძლია).

გვწამს ჩვენს თხოვნას ჩვეული გულისხმიერებითა და ჩვენი თაობის პატივისცემის ნიშნით გადაწყვეტთ და ამ საშვილიშვილო საქმის ავტორიც თქვენ იქნებით, რისთვისაც არა მარტო ჩვენ, არამედ ხანდაზმულებიც, რომლებიც ჩვენს შემდგომ მოვლენ ამ სახლში, თქვენი დიდი მაღლიერებით იქნებიან.

იყავით მუდამ შემართებული ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

იცოცხლეთ და იბედნიერეთ დიდხანს.

ღმერთი იყოს თქვენი, ჩვენი და სრულიად საქართველოს შემწე.

ხანდაზმულების სახელით
ალექსანდრა არგუბაშვილი
საქართველოს შრომალისათვის
შედეგების წევრი

საუბო, საუბო, საუბო სიტყვა - ოპოზიხა

დასავლეთის ძველები და პოლიტიკური ოპოზიხა

გაგრძელება დასაწყისი იხ. გაზეთი „საქართველო“ №55

მრავალწლოვანი მხრივ განვითარებული დასავლეთის ქვეყნებში ნამოყალიბებული პოლიტიკური ოპოზიციის მოდელი თავისთავად უნიკალურია საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში მისი სამართლებრივი სტატუსი და როლი შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვაგვარად. უფრო რელიეფურად პარლამენტური დემოკრატიის პირობებში და უფრო ნაკლებად მმართველობის პრეზიდენტული ფორმის დროს.

არცთუ ისე შორეულ წარსულში დასავლეთის პოლიტიკოლოგიურ ლიტერატურაში კლასიკურ ნიმუშად აღიარებული იყო დიდი ბრიტანეთის ამისი აღმაშენებლების ლიბერალური ოპოზიხა. ერთნაირი საზოგადოებრივი აზრის მიერ იგი აღიქმება როგორც სრულფასოვანი პოლიტიკური ინსტიტუტი, რომელიც ფლობს მთავრობასთან თანაწილო ოპოზიციულ უფლებებს მისი ძირითადი ძალები თავმოყრილია ერთი, წამყვანი ოპოზიციური პარტიის ფარგლებში ბრიტანული ვესტმინსტერული ოპოზიციური და მმართველ პარტიებს შორის ურთიერთობის მოდელი ტრადიციული სახით აქებულია ორპარტიული სისტემის საფუძველზე მმართველ პარტიას და ოპოზიციას შორის კონკურენცია - ხევედგენა მოახდინოს არჩევნების დროს ამომრჩეველებზე პარლამენტზე. მასობრივ ინფორმაციის საშუალებებზე საგრძობლად მწვევა იგი მაქსიმალურადაა გამოვლილი პოლიტიკურ პროცესში მათი უფლებამოსილების და ურთიერთობის სფერო მკაცრად

გამიჯნული და რეკლამენტრული მთავრობა, არსებითად, მთელი სისრულით აგებს პასუხს საშინაო და საგარეო პოლიტიკის შედეგებზე. მაშინ, როდესაც მისი პოლიტიკური ოპონენტის მთავარი ფუნქცია არ-გუმენტრულია და კონსტრუქტიულია გააკრიტიკოს უაქოდის ოფიციალური კურსი, მის ნაკლებად წამოყენის მოქმედების აღტერნაბულის პროგრამა ამ მიზნით უმცირესობის წამყვანი პარტია, როგორც ცნობილია, აყვადებს მინისტრთა ჩრდილოვან კაბინეტს, რომლის წევრები, იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტის არჩევნებში შეძლებენ დამარცხონ მმართველი პარტია, ან გამოიტანონ მთავრობისადმი უნდობლობის ვოტუმი, თემთა პალატაში თავის უმრავლესობაში იკავებენ შესაბამისი დეპარტამენტების ხელმძღვანელთა თანამდებობებს დიდი ოპოზიციური პარტიის ხელმძღვანელობა უცვლელად რჩება პოლიტიკური ცხოვრების ავანსკენაზე. 1937 წლიდან ოპოზიციის ლიდერის თანამდებობა ოფიციალურია და იგი სახელმწიფოსგან დებულობს ხელფასს.

მმართველ პარტიას და ოპოზიციას შორის საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში - წყალგამყოფი ხშირად ისე კონტრასტულად არ ვლინდება, როგორც დიდ ბრიტანეთში. ასე მაგალითად, 1986 წლის არჩევნების შედეგად საფრანგეთის ერთნაირ კრებაში სოციალისტებმა დაკარგეს უმრავლესობა მაგრამ შეინარჩუნეს ქვეყნის პრეზიდენტის პოსტი. სოციალისტები 1988 წლამდე ერთდროულად იმყოფებოდნენ მმართველი და ოპოზიციური პარტიის ძალზედ გარკვეული როლის მდგომარეობაში. მრავალპარტიული პარლამენტური დემოკრატიის

პირობებში აშკარად იგრძნობა წამყვანი პარტიების მისწრაფება იდეურ-პოლიტიკური ცენტრისკენ ჩივირ-ღანღები, დანია, ამასთან ხშირად იცვლება სამთავრობო კოალიციის შემადგენლობა მათი დაყოფა მმართველ და ოპოზიციურ პარტიებად ატარებს აშკარად პირობით ხასიათს, რამდენადაც ისინი ამა თუ იმ დონეზე უშუალო მონაწილეობას იღებენ ერის პოლიტიკური კურსის შემუშავებაში. კიდევ უფრო მხელია გავარკვეით ეს ზღვარი აშშ-ში, სადაც ფედერალური შტატების და ადგილობრივ ორგანოებში ადმინისტრაციულ და საკანონმდებლო ხელისუფლებაში სხვადასხვა ინსტანციების სასამართლოებში, ცენტრალურ და პერიფერიულ ბიუროკრატიულ აპარატში წარმოდგენილია როგორც რესპუბლიკელები, ისე დემოკრატები. -დანაწილებული მმართველობის სისტემა რიცა ერთი პარტია აკონტროლებს სახელმწიფო ადმინისტრაციას, იმავე დროს მეორე - კონგრესსი (უკიდურეს შემთხვევაში მისი ერთი პალატა) მთელი 70-80-იან წლებში უფრო პოლიტიკურ ცხოვრების ნორმას წარმოადგენდა, ვიდრე გამოაკლისს საერთო წესებდა.

საზოგადოების პოლიტიკური ინსტიტუტების სტაბილური ფუნქციონირების თვალსაზრისით ოპოზიციას, აქვს გარკვეული არცთუ ისე მცირე ღირსებები იგი ობიექტურად მმართველ და ოპოზიციურ პარტიებს აძლევს კეპონ კომპრომისების გზაქმის აუცილებელ წინამძღვრებს ქვედითი პოლიტიკური კონსენსუსისათვის სხვადასხვა სტადიაზე აზრის შეთანხმება და უთანხმოების რეგულირება, მანამდე, სანამ ეს უთანხმოება კრიტიკულ ნიშნულს მიღწევდეს ოპოზიციის პოლიტიკური ინტერაცია ამცირებს პარტიას შორის

მეტოქების დაძაბულობას, მინიმუმად დაჰყავს ადმინისტრაციის შეცვლის დროს ქვეყნის პოლიტიკური კურსის შესაძლო მკვეთრი შემოზრუნება. ერთი პარტიიდან მეორეს ხელში ხელისუფლების გადასვლა მმართველ და ოპოზიციურ პარტიათა ურთიერთდაპირისპირება იშვიათად ხდება, ეს დაპირისპირება დასაშვებ ზღვარამდე შენარჩუნებული და საზოგადოებას არ ემუქრება აშკარა კონფრონტაცია.

დასავლეთის მთელი რიგი ქვეყნების ფედერაციული რიგ შემთხვევაში - კონფედერაციული წყობად დად უწყობს ხელს პოლიტიკურ სისტემაში ოპოზიციის ინტერაცია მსხველი ოპოზიციური პარტიები ხელისუფლებიდან პრაქტიკულად არასდროს არიან სრულიად ჩამოცილებულნი არჩევნებში დამარცხების შემდეგ ისინი, როგორც წესი, აგრძელებენ სოციალურ ადგილობრივ ადმინისტრაციულ და საკანონმდებლო ორგანოების, ქალაქის მერის და მუნიციპალიტეტის გაკონტროლებას ამის შედეგად ცხოვრებაში ახორციელებენ ღონისძიებებს, რომლებიც არსებითად განსხვავდებიან ან სრულიად ეწინააღმდეგებიან ცენტრალური ხელისუფლების ოფიციალურ კურსს. აშშ-ს რესპუბლიკურ პარტიას, რომელიც ფლობს უმრავლესობას შტატების ლეგისლაციურებში, მათ შორის 18 შტატის გუბერნატორის პოსტს, საშუალება აქვს შეიტანოს სერიოზული კორექტვა ფედერალური ადმინისტრაციის საქმიანობაში. ერის მმართველობისადმი სწრაფვა ამაღლებს ოპოზიციური პარტიების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას თავიანთი მოქმედებისადმი ის სიტუაცია, როცა ხელისუფლების სხვადასხვა სტრუქტურა და თანამდებობა განაწილებულია მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის ამ უკანასკნელს შესაძლებლობას აძლევს არა მარტო იმუშაოს პოლიტიკურ თეორიაში სიახლის კვლევის მიზნით, არამედ პრაქტიკულად შეამოწმოს კონკრეტული წინასაარჩევნო ღიზუნება ეფექტიანობა და მისი მიზიდული ძალა ადგულზე გამოარკვოს

თავისი ყველაზე უფრო შესაძლო კანდიდატურის პოპულარობის დონე უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობის დაკავების შემთხვევაში.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში და აშშ-ში ომის შემდგომ პერიოდში ჩამოყალიბდა მთავრობასა და ოპოზიციას შორის ურთიერთობის პრინციპები და პოლიტიკური კულტურა რომელიც ატარებს არა ურთიერთმებრძობ, არამედ კონსტრუქციული დიალოგის ხასიათს. ეს ყველაზე უფრო რელიეფურად ჩანს მწვავე მინაპოლიტიკური კრიზისების პერიოდში. სოციალიზაციური გამოყოფვათა მიხედვით ყოფილ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ნიდერლანდებში დომინირებდა საზოგადოებრივი აზრის მის შესახებ, რომ ოპოზიციის მთავარი ფუნქცია არა ხელისუფლებისადმი კონფრონტაციის და მიღწეული პოლიტიკური შეთანხმების დარღვევა არამედ მასთან მჭიდრო თანამშრომლობა და აქტიური მხარდაჭერა მისი პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებისადმი.

მმართველი და ოპოზიციური პარტიების ხელმძღვანელობა არსებითად იზიარებენ არსებული სისტემის ფასილულობებს და თანაბარი დონით დაინტერესებულნი არიან ქვეყნის სოციალური სტაბილურობის შენარჩუნებაში. ასეთი ტაქტიკა ფუნქცია იმას რომ აშკარა პოლიტიკური ურთიერთდაპირისპირება გამოუსწორებელ ზიანს აყენებს საზოგადოების ინტერესებს და ძირს უთხრის მის სამართლებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ საფუძველს ყოფილ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში პოლიტიკური კონსენსუსის ყველაზე სათელი გამოვლინება იყო 1966-1969 წლებში „დიდი“ მმართველი კოალიციის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის, ქრისტიანულ-სოციალური კავშირის და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის არსებობა.

სურსათი
გაგრძელება იქნება

იუმორის გვირგვინი - ცხუთხასწინებში

იუმორი

გაცნობრთა ცხომრებიდან

ატც ტა მიშვლას ციტილმა,
 ატცა ცტუმლომის დენამა,
 მიშვლას ისეუ სიცილმა,
 ლაქატიდისამა რნამა



კომიკიას შორის!

თბილისის სამხატვრო აკადემიაში ქართული ენისა და ლიტერატურის მიმდებარე საგანმანათლებლო კომისიაში ვარ (თავმჯდომარე - ნოდარ აღანიას). წინა წლებში აქ „შპარგაქიდან“ გადაწერა იმდენად დამკვიდრებული ყოფილა, რომ, გადაწერის საშუალება რომ არ მოეცა, ერთი საათის შემდეგ ყველა აბიტურიენტმა დემონსტრაციულად კლამი დადო და თემის შესრულებაზე უარი განაცხადა შეიქმნა უჩვეულო, საგანგაშო ვითარება რექტორმა და აკადემიის ცენტრალურმა მიმდებარე საგანმანათლებლო კომისიამ გუნთხილი მომავალ წლებში გამოცდებზე დასვეს თქვენ მოგიწევთ და ნამდვილი გამოცდა მაშინ დაეწყოთ. ახლა კი, მიღება რომ არ ჩაგვეშალოს, ცოტა ხანს თვლი დახუჭეთ, დადებითი ნიშნის მისაღებად ამ მცირე დროში, რასაც მოასწრებენ, დაე, გადაწერონ. ვინც უკეთ მომზადებულია, ის უკეთესად მოახერხებს გადაწერას და ცოდნის საერთო შეფარდებით სურათი დიდად დარღვეული არ იქნება.

მეტი რაღა ჩარა იყო, ჩვენც თვალები მოხუჭეთ. ამ დროს, იმ აუდიტორიაში, სადაც მე ვყოფი, რექტორმა კარი შემოაღო და, თურმე, ფერწერის ფაკულტეტს დაუძებდა, ხმაიდალა მკითხა:

- აქ ფერწერაა?
- არა, გადაწერა - არ დამიყოფნება, მეც ხმაიდალა მიუბუკა

ნასაღილავს აკაკი შანიძეს ჭადრაკის თამაში უყვარდა, რომლის დროსაც, დიბუტით იყო ავად და, გვერდზე უშაქო ცხელი ჩაი ვეღა და ნელ-ნელა წრუპავდა. ერთ დღეს იგი ჭადრაკის თაგის დიშვილის ქმარს, ლევან კიქნაძეს, ეთამაშება. დისწოდება, ნელი ლევანამ, უმადლე ჩაი მიართვა ბატონი აკაკი მიხუხუელით დასხერებია ჭადრაკის დაფას.

- ბიძია, გიცვივდება ჩაი - შეახსენა ნელიმ.
- დამაცით, კაცო, ცხელი ჩაის თაგი მაქვს ახლა, მოდი ერთი აქ და ნახე, რა ცხელი დლე მადგას!



თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამრეცკიებებიანი უზარმაზარი აუდიტორია აბიტურიენტებთანაა საესე მიმდინარეობს ბოლო მისაღები წერითი გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში. საწერი თემებია: 1. გრძელ ხანძეთელის დახასიათება, 2. სოციალური მოტივი იჯაჯავადის შემოქმედებაში, 3. გალაკტიონ ტაბიძის ლირიკა და 4. თაგისუფალი თემა - ჩემი საყვარელი სოფელი (ან ქალაქი). მოვიხედეთ და ყველა თაგისუფალი თემის წერს. საგანგებოდ ჩამოვიარე და ერთადერთი აბიტურიენტი აღმოვიჩინე, რომელსაც „გალაკტიონ ტაბიძის ლირიკა“ აერჩია რატომღაც მის მიმართ ყველა გამოცდელი და თაგვდომი (ასეთები კი ათამდე ვყოფი) სიმპატიურად განვეწყეთ მანაც იგრძნო ჩვენი მისაღმი ინტერესი და მოწიწება და, მოხუცდავად იმისა, რომ საგანგებოდ იყენე გავრთხილებული, თემის შინაარსობრივ მხარეზე შეკითხვა არ შეიძლებოდა, იგი წამოგდა და ჩვენი აღმაფრენა ერთბაშად მიწასთან გაასწორა გვეკითხება: „მე და ლამე“ ერთად იწერება თუ ცალ-ცალკე.

იმის აღსანიშნავად, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილს ბედმა სამჯერ არგუნა დასაფლავება (განჯაში, დიდუბესა და მთაწმინდაზე), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის მისაღებ გამოცდაზე წერით ნამუშევარში აბიტურიენტს ეწერა: „ნიკოლოზ ბარათაშვილმა სამჯერ გაიარა მიწაში“.

რამო სპარპლაძის ნაამბობი. ზეიად გამსახურდიას დროს, პირველი კერძი უმადლესი სასწავლებლები რომ ჩამოყალიბდა, ერთ ასეთ უნივერსიტეტში ქართული ენისა და ლიტერატურის მისაღებ გამოცდაზე მანანა დათუკიშვილთან ერთად ვარ. ზეიორ გამოცდაზე გვიხის უკანასკნელ მოდაზე ჩაცმული შესანიშნავი გარეგნობის ჭაბუკი როცა ბილეთში დასმულ ვერც ერთ საკითხზე ხმა ვერ ამოიღო, მანანა ეკითხება:

- აბა, გვთხარით, ვისი დაწერილია „დიდოსტატის მარჯვენა“?

ამ თხზულების გარეგვა ბილეთში ცალკე საკითხად იყო

შეტანილი. პასუხად კვლავ დუმოლია

- კარგად დაფიქრდით! დაწერილია გა... გამ... - ეშველება მანანა.
- ისევ დუმოლი.
- გამ... გამს... გამსა... გამსახ...
- ზეიად გამსახურდია, პატივცემულო! - უცებ წამოიხაზა მან და ანთებული თვალები შემოგვანათა.
- ზეიადი თუ? - არ ეშვება მანანა.
- ?
- ზეიადი თუ, კო... კონ... კო-სტ...
- მერაბ კოსტავა! ასე ვინევი გამოცდაზე, პატივცემულო! - ისევ აღფრთოვანებით წამოიხაზა მან და სახე გაებადრა.
- ვეღარ მოვიტინე და აღშფოთებულმა ორიანი დავუწერე.
- გადაირიე, ეს ორი იმითაგანია, ვინც ნამდვილად ფულს შემოიტანს, და მაგასაც უარი ვუთხრა? - წარბშეკვრით მეუბნება რექტორი. მერმე გავიგე, იმისთვისაც აქვიათ ნიშანი.

კამაგობიკის დარგში მომუშავეთა ამბავი დიმიტრი დარჩიამ მიაგმო.

საქართველოში პედაგოგობა საზოგადოებამ ფართოდ აღნიშნა იან კომენსკის დაბადების 300 წლისთაგი. ჩატარდა სამეცნიერო სესიაც, როცა სესიაზე მოსულმა ოთარ ტაბიძემ მოსაწვევ ბარათში ამოიკითხა, რომ ერთ ფრიად სოლიდურ მეცნიერს მოხსენებად გამოჰქონდა „იან ამოს კომენსკის ფსიქოლოგიური შეხედულებანი“, ჩაილაპარაკა:

- ყოჩაღ, ამასაც დაუწყია ამოსობა! (ბატონმა ოთარმა იან ამოს კომენსკის მეორე სახელი „ამოს“ გაათამაშა).

ვალიკო (ვალიკუნა) მანაიქ და გვი ნორაძე სხვა მეგობრებთან ერთად გაშლილ სუფრას უსხედან. შეზარხოშებულმა ვალიკომ სიმღერა წამოიწყო, ჩვეულებისამებრ გვი რომ არ აჰქვა, ხელით ანიშნა, რას შერებო?


- ვერა, დღეს ვერ ვიმღერებ, სიდედრი მყავს გარდაცვლილი.
- განმარტა გვიმ.

- შე კო კაცო, სიდედრი მე ცოცხალი მყავს და ვმღერი და შენ გარდაცვალა და სიმღერაზე უარს ამბობ? - „გაიკვირვა“ ვალიკომ.

ალემ დისერტაციის დაცვის დროისა და ადგილის შესახებ განცხადება გაზეთში ქვეყნდებოდა. ჩემს საკანდიდატო დისერტაციაზე ცნობა რომ ჩემ სოფელში წაუკითხავთ, ჩემი მეზობელი სოფორე დარჩია, ხანშიშესული ქალი, ორდობეში მიდის და ხმაიდალა იძახის თურმე:

- პო, პო, პო-პო, გადავდა აი ბიჭი ქვეყანას, გადავდა!

შპარბა ბორის ღარჩიამ



ვალიკო მანაიქმ სამსახურში კიბის თაგზე დგას და ხედავს თაგინით თანამშრომელი, ღამაში და მომხიბვლელი ქალი, ქეთევან ტუსკია, ნელ-ნელა, სვენებით ამოდის.

- როგორ ბრძანდებით, ქალბატონო ქეთო? - შეეგება ვალიკო თანამშრომელს.

- აბა, როგორა ვარ, გული ხელით მიჭირავს! - ამბობს ქეთევანი.

- შე კაი ქალი. მეტი თუ არ გაწუხებს, მაგას მე დაგიჭერ ხელში! - იღიმება ვალიკო.

1928 წელს აკაკი შანიძემ გიორგი ახელედინთან ერთად მონაწილეობა მიიღო ორიენტალისტთა XVII საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში, რომელიც ინგლისში, ოქსფორდში გაიმართა.

ლონდონში ყოფნისას ქალაქის ქუჩების სქემა მე მქონდა და გზის გაგნებაც მე შეეძლებოდა. პეტერბურგთან შედარებით ატმოსფეროს მოძრაობა აქ ბევრად უფრო ხშირი იყო. ერთ დღეს, ქუჩაზე გადასვლა რომ დავაპირეთ და წინ მივდივარ, ავტომანქანამ ისეთი სისწრაფით ჩამიქროლა, ორივენი შეგვრთით.

- ფრთხილად, აკაკო, მანქანამ არ გააიტანოს! - ხელს მკიდებს გიორგი.

- ნუ გეშინია, გიორგი, ვერ არ ყოფილა შემთხვევა, მანქანას გავეტანე! - ვამხივებ მგეობარს.

პროდი ჩემი თანაკლასელი ქალთა კოლონიის მუშაკი, ტელეფონით მელაპარაკება: გუშინ თქვენი თანამშრომელი შემხვდა და მითხრა - დიდი და საინტერესო ნაშრომი დაგითავრებია, როცა გამოქვეყნდება, სენსაციას მოახდენს, მაგრამ გამოცემული ვინაო. მივივრს, რატომ არ უნდა დაგთბვდონ?

- დაბეჭდვას ახლა ფული უნდა, ფული!

- ფულს ვინ მოგცემთ თქვენ? თუ რაიმე ორ კაპიკს ხელი შევიღო, თუ კაცი ხარ. მაგ ეშმაკს არ შეაღო და შიმშილით თაგი არ მოიკლა. სხვათა შორის, თქვენი ხელფასი რომ მითხრა, გოცნებული ვარ. რას შერები, თაგი რთი გაგაქვს, რას ჭამ?

- აგერ „ბორში“ გაგაკეთეთ და სამი დღე გარანტირებული ვარ. - დამწვივდა ვცადე თანაკლასელისა.

- ახალი კომბოსტო გქონდა?

- ახალ და ძველ კომბოსტოს ახლა მეცნიერები არ არჩევენ.

- ჩვენ პატივებს ახალი კომბოსტოთი დამზადებულ „ბორშს“ გვმევენ. პო, მართლა, მიდი, ბიჭო, დააშავე რამე, დაგაპატიმრებენ.

შენთან მოხვდები და ახალკომბოსტოიან „ბორშს“ გაჭმევენ.

- დავაშავებდი, მაგრამ მე თქვენთან, ქალთა კოლონიაში, როგორ მოხვდები?

- მმ, თქვენი ხელფასის პატრონს კიდევ თუ კაცთა სიაში მოგაქვთ თაგი, მართლაც, არ ყოფილა თქვენი საშველი და ვბარის! - მეზუმრება თანაკლასელი, მაგრამ სანახევროდ მართალი განა მარტო საჯავახური ხუმრობაა?!

ჩემმა მეგობარმა პროფესორმა კერძო უმადლესი სასწავლებლის წინააღმდეგ რამდენიმე სტატია გამოაქვეყნა. ზოგი თაგისი სახელისა და გვარის, თანამდებობისა და სამეცნიერო ტიტულის სრული ხელმოწერით, ზოგაც - ფსევდონიმით.

- მერედა, რა გამოვიდა აქედან? - ვეკითხები მას.

- ის გამოვიდა, რომ, როცა ასეთ სასწავლებელში სამად-ლოდ ადგილი ვიშოვე, კუნტრუშით მივედი სამუშაოდ.

ცოტა პაუზის შემდეგი დაავიდა: - ასეთია ცოცხალი და ჯანსაღი დამოკიდებუება თაგსა და თქვენ შორის, - კიდევ პაუზა, - სოციალისტურ და საბაზრო

